



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1290
11/07/2018

ქალაქი ბათუმი

1290-05-4-201807111439



„ახალციხიდან ბათუმამდე 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის II სეგმენტის მესამე სექციის (კმ 40.8-კმ 52.6) ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სარგებლობის ფაქტის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2620 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ეე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 50-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ახალციხიდან ბათუმამდე 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის II სეგმენტის მესამე სექციის (კმ 40.8-კმ 52.6) ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სარგებლობის ფაქტის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2620 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

- ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი - კომისიის მდივნის გიორგი ვარშანიძის შევულებადი ყოფნის პერიოდით (2018 წლის 11 ივლისიდან 02 აგვისტოს ჩათვლით), ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) გიორგი ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სასამართლოებთან ურთიერთობის საკითხებში - კომისიის მდივანი;“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა